სამშობლოს ჯილდო სამხრეთ ოსეთის დრაშაზე

გუშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადაეცა ლენინის ორდენი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 232 (13924) | სამშაბათი, 3 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ზეიმობს ორდენოსანი სამხრეთ ოსეთი

ცხინვალი, 8 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). საზეიმოდ მორთულა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქის — ცხინვალის ქუჩები და სახლები. დიდი სიხარული სუფევს ქალაქში. დღეს ოლქის მშრომელებს ზეიმი აქვთ: დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინ წარმატებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის განვითარებაში, სამხრეთ ოსეთს გადასცემენ ლენინის ორდენს.

მაღალი ჯილდოს გადასაცემად აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე.

დილის 11 საათია. სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა წარმომადგენლები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

კრების პრეზიდიუმში არიან ა. ინაური, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. კაბალოევი, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს ბევრი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, ოლქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

დარბაზი მორთულია მისასალმებელი ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით. სცენის სიღრმეშია ვ. ი. ლენინის პორტრეტი. საზეიმო კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ჯუსოევმა. გაისმის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აღრჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს. მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ტაშის გრიალში დარბაზში შემოაქვთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროშა. დროშა მოაქვს ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის მებაღეთა ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს ბ. საბაევს. მედროშეს ახლავს სამხრეთ ოსეთის წარჩინებულ ადამიანთა ჯგუფი. ესენი არიან ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ძუბაევი, ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. ქრისტესიაშვილი, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ნ. კასრაძე, კვაისის მაღაროთა-სამმართველოს მებიგეთა ბრიგადირი ა. ხუბაევი, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი პ. დოღუზოვი, ძველი ბოლშევიკი ზ. ბაზაევი.

ამხ. ვ. მჟავანაძემ მთავრობის მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი მიაბნია აღისფერ დროშას.

დარბაზში ოვაცია ქუხს. გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც საბჭოთა ხალხს მიუძღვის სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ვ. მჟავანაძემ მხურვალედ მიულოცა სამხრეთ ოსეთის მშრომელებს მაღალი ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— სამხრეთ ოსეთის დაჯილდოება ლენინის ორდენით — ეს არის ღირსშესანიშნავი მოვლენა არა მარტო ავტონომიური ოლქის მშრომელების ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, — თქვა ამხ. მჟავანაძემ. — ეს არის დამსახურებული აღიარება იმ მნიშვნელოვანი წვლილისა, რომელიც სამხრეთ ოსეთის მშრომელებს შეაქვთ ჩვენს საერთო დიად საქმეში — კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.

ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა ოსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და სულიერი სიახლოვის ღრმა ფესვებზე. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ გმირულ ბრძოლაში დაძმობილდნენ ქართველი და ოსი ხალხები, თავიანთი მეგობრობა განამტკიცეს სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლით.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ცარიზმის წინააღმდეგ საქართველოს მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლის მატიანეში. საქართველოს კომპარტიის ბრძოლის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება იმ კლასობრივი ბრძოლის მკაფიო ფურცლები, რომლებსაც ცხინვალის მშრომელები, ჯავის, როკისა და ოქონის მაზრების გლეხები ეწეოდნენ.

შემდეგ ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს იმ უმაგალითო აყვავებაზე, რომელსაც ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობამ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. 50 წლის წინათ სამხრეთ ოსეთში სრულებით არ იყო მრეწველობა, სკოლები, სამკურნალო დაწესებულებანი, კულტურის კერები. სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ პრიმიტიული მიწათმოქმედების იარაღითა და მეთოდებით.

ახლა სამხრეთ ოსეთში არის ფერადი მეტალურგიის საწარმოები, ელექტროტექნიკური, მსუბუქი და კვების მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია. სამხრეთ ოსეთის საწარმოთა მარკით ნაწარმი გადის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ოქის მშრომელებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წლითიწლობით იზრდება მინდვრების, ვენახების, ბაღების მოსავლიანობა, წველადობა, ხორცის, კვერცხის, მატყლის წარმოება.

ნამდვილ აყვავებას მიაღწია მეცნიერებამ და კულტურამ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამხრეთ ოსეთში თითქმის არ იყვნენ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები. ახლა მარტო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობს მეცნიერებათა ორი დოქტორი და 35 კანდიდატი.

საქართველოს მშრომელები, თქვა ამხ. ვ. მჟავანაძემ, ამაყობენ საბჭოთა სამხრეთ ოსეთის მიღწევებით, ამაყობენ იმით, რომ ჩვენმა სამშობლომ ესოდენ დიდად შეაფასეს ეს წარმატებანი. ამის დადასტურებაა ლენინის ორდენი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროშაზე.

ოლქის დაჯილდოება დიდი დღესასწაულის წინ — ეს დიდი პატივიცაა და დიდი პასუხისმგებლობაც. ახლა მშრომელებმა მთელი ძალები უნდა მოახმარონ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მშრომელები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები განსაკუთრებული აღმავლობით შრომობენ ამ დღეებში. ყოველი მხრიდან მოდის სასიხარულო ცნობები. მაღაროელები, ელექტროტექნიკოსები, მანქანათმშენებლები, მკერავები, მინდვრის მუშაკები უპატაკებენ სამშობლოს: მოდის ზეგეგმითი პროდუქცია.

საზეიმო კრების ტრიბუნიდან ამის შესახებ ილაპარაკეს კვაისის მაღაროთასამმართველოს მებიგეთა ბრიგადირმა ბ. ბაზაევმა, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ძუბაევმა, ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. ქრისტესიაშვილი, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ნ. კასრაძე, კვაისის მაღაროთა-სამმართველოს მებიგეთა ბრიგადირი ა. ხუბაევი, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი პ. დოღუზოვი, ძველი ბოლშევიკი ზ. ბაზაევი.

ამხ. ვ. მჟავანაძემ მთავრობის მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი მიაბნია აღისფერ დროშას.

ოვაციათა ქუხს. გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც საბჭოთა ხალხს მიუძღვის სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ვ. მჟავანაძემ მხურვალედ მიულოცა სამხრეთ ოსეთის მშრომელებს მაღალი ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— სამხრეთ ოსეთის დაჯილდოება ლენინის ორდენით — ეს არის ღირსშესანიშნავი მოვლენა არა მარტო ავტონომიური ოლქის მშრომელების ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, — თქვა ამხ. მჟავანაძემ. — ეს არის დამსახურებული აღიარება იმ მნიშვნელოვანი წვლილისა, რომელიც სამხრეთ ოსეთის მშრომელებს შეაქვთ ჩვენს საერთო დიად საქმეში — კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.

ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა ოსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და სულიერი სიახლოვის ღრმა ფესვებზე. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ გმირულ ბრძოლაში დაძმობილდნენ ქართველი და ოსი ხალხები, თავიანთი მეგობრობა განამტკიცეს სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლით.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ცარიზმის წინააღმდეგ საქართველოს მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლის მატიანეში. საქართველოს კომპარტიის ბრძოლის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება იმ კლასობრივი ბრძოლის მკაფიო



იორდანიის მეფე მოსკოვში

2 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სტუმრად მოსკოვს ჩამოვიდა იორდანიის სამეფოს მეფე ალ-ჰუსეინ ბენ თალალი.

ორი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვიუკოვის აეროდრომზე საპატიო სტუმარს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

დაიწყო კრასნოიარსკის ჰესის ქვაგულის ავსება

ეს ამბავი 1 ოქტომბერს გადმოგვცა საკდესის კორესპონდენტმა. „ნუ ელით ეფექტურ სანახაობას, — გაფრთხილა წინა დღით ჟურნალისტები მშენებლობის უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ე. ბოჩკინმა. — აფეთქება არ იქნება. ტუმბოების ჩართვის შემდეგ ქვაბული ფილტრაციის შედეგად წყლით აივსება. როცა წყლის დონე მდინარესა და ქვაბულში გათანაბრდება, ექსკავატორები დაიწყებენ ზღუდარის დაშლას, რომ შექმნან 40 მეტრამდე სიფართის განაკადი. ენისეი მშვიდად ჩავა ქვაბულში. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ არ ჩაილამოს სადგურის აგრეგატების გამომწოვი მილები“.

და აი წყალი უკვე ეღინავს ქვაბულში. ჰიდროელექტროსადგურის შენობის ძირთან ყოველ საათობით წყალი სულ უფრო მაღლა იწევს. ქვაბული წყლით იფარება. მთავრდება ასამუშავებელ სამუშაოთა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომა

2 ოქტომბერს ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომა. სხდომის მუშაობაში მოხაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

სხდომა განიხილავს ნაწარმოებებს, რომლებიც შერჩეულია 1967 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის.

შრომითი ნობათები

მოახლოებულ დღესასწაულს ახალ-ახალ შრომითს საჩუქრებს უძღვნიან სამხრეთ ოსეთის სოფლის მშრომელები. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 9 თვის დავალება ოლქმა ყველა სახეში ვადამდე — 20 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. ხორცი ნაცვლად 17.830 ცენტნერისა დამზადებულია 18.276 ცენტნერი, რძე ნაცვლად 47.220 ცენტნერისა — 49.577 ცენტნერი, მატყლი ნაცვლად 3.380 ცენტნერისა — 3.515 ცენტნერი; კვერცხის დამზადების გეგმა 112,6 პროცენტით შესრულდა, — აცნობა „კომუნისტის“ რედაქცია საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. გელაშვილმა. შესრულებულია აგრეთვე მზრალად ხვნის გეგმა. ნაცვლად 7.500 ჰექტარისა მოხნულია 7.519 ჰექტარი.

საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ელოშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. ელბაქიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ჯ. თეთრუაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. 25 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 9.750 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 9.550 ცენტნერისა, 44.900 ცენტნერი რძე ნაცვლად 41.600 ცენტნერისა, 1.011.000 ცალი კვერცხი ნაცვლად 685.000 ცალისა, 1.211 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 1.068 ცენტნერისა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ტყავნეულეულის, ბეწვეულისა და ქურქეულის ცხრა თვის გეგმები.

საინგილეო წელს ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კვარაცხელიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ანთიამ, — სასახელოდ შეასრულეს ვალდებულება. მოკრიფეს და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარეს 1.578 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1.500 ტონისა. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 27.350 ტონა ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 25.785 ტონისა. ფოთლის კრეფა გრძელდება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ლენინის ორდენოსანია. ეს გამარჯვება ოლქის მშრომელთა ღირსეული ჯილდოა, რომელიც მათ თავდადებული შრომით მოიპოვეს.

ამ მაღალი ჯილდოთი განსაკუთრებით ამაყობენ ოლქის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საერთო წარმატებაში. მათ შორის არიან ცხინვალის ქარხანა „ვიბრომანქანის“ ამწყობი ზეინკალი ბ. ალბოროვი (სურათზე მარცხნივ) და სოფელ ორჭოსნის კოლმეურნეობის მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. დრიაევა.

ფოტო ვ. უბოეენკოსი.

ვადაზე ადრე

ბათუმი. (სკკ. კორ.). მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი ბათუმის კოფეინის ქარხანამ (დირექტორი ა. კონცელიძე). აქ დამზადებულ წამლებზე დიდი მოთხოვნილებაა.

ქარხანამ სექტემბრის გეგმა 20 სექტემბრისათვის შეასრულა. დიდი რაოდენობით დამზადებულია ალოეს წვენი, კოფეინი და სხვა პრეპარატები. შრომაში დაწინაურდა ალოეს წვენის დამამზადებელი უბანი.

ქართველ კოოპერატორთა წარმატებანი

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის — „ცეკავშირის“ მუშაკები, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ვადაზე სამი დღით ადრე — 27 სექტემბერს შეასრულეს საქონელბრუნვის ცხრა თვის გეგმა, თვის ბოლომდე მოსახლეობას მიეყიდება 4,4 მილიონი მანეთის საქონელი. 107,1 პროცენტით შესრულებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმა, 115 პროცენტით — კოოპერაციული მრეწველობის გეგმა, 103 პროცენტით — მოსახლეობის კოოპერირების დავალება, 101 პროცენტით — პაის დაგროვების გეგმა, 126 პროცენტით — ყველა დარგის მოგების გეგმა.

ასევე წარმატებით შეასრულეს კაპიტალური მშენებლობისა და სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია იბრძვის ვადამდე შეასრულოს წლიური დავალებანი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი და ნ. ვ. პოდგორნი კიევიდან გაემგზავრნენ

კიევი, 1 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). გაემგზავრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, პ. ე. შელესტი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, „დნეპრში“. მათთან ერთად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. თ. უსტინოვი.

ბორისპოლის აეროპორტში ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი და დ. თ. უსტინოვი გააცილეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ე. შელესტმა, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. შჩერბიცკიმ, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კორეტჩენკომ და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ი. იაკუბოვსკიმ, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა, არმიის გენერალმა ა. ა. ეპიშევმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, მარშალმა კ. ა. ვერშინინმა, კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. გ. კულიკოვმა.

ჯავშნით შემოსილ დივიზიათა მარში

წვრთნა „დნეპრის“ მონაწილე ჯარების დათვალიერება

პირველ ოქტომბერს კიევში გაიმართა წვრთნა „დნეპრის“ მონაწილე ჯარების დათვალიერება.

თითქმის ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც განგაშით ფეხზე დამდგარი ეს პოლკები და დივიზიები გამოვიდნენ თავიანთი განლაგების რაიონებიდან. უკან დარჩა მრავალკილომეტრიანი სწრაფი მარშები და უძილო ღამეები, გაფფრთხილები „ბრძოლები“. ყოველივე ეს ჯარისკაცებისაგან, სერჟანტებისაგან, ოფიცრებისაგან — წვრთნის ყველა მონაწილისაგან მთელი ძალღონის დაძაბვას მოითხოვდა.

და აი ახლა „აღმოსავლელები“ და „დასავლელები“ ერთად შეიკრიბნენ უზარმაზარ მოედანზე.

რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულა კოლონების მწყობრი. მეომართა კოლონების უკან ფაქტ საბრძოლო ტექნიკა. ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს აწეული აქვთ ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ლულები. თითქოს სტარტისთვის მოემზადნენო, აღმართულან რაკეტები.

წვრთნის დასკვნითი ეტაპის სანახავად ათეულ ათასობით მშრომელი მოვიდა.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინს, ნ. ვ. პოდგორნის, პ. ე. შელესტს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, როცა ისინი ავიდნენ მწყობრის წინ ალმართულ ტრიბუნაზე. მათთან ერთად არიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი საბჭოთა კავშირის მარშალი მ. ვ. ზახაროვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, უკრაინისა და ბელორუსიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. აქვე არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მეომართა და უფროსთა შემადგენლობა, საბჭოთა კავშირის მარშლები, ჯარების გვარეობათა მარშლები და გენერლები.

ჯარების დათვალიერებას ესწრებიან მეგობარი არმიების სამხედრო დელეგაციები, რომლებსაც შეთაურობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი დობრი ჯუროვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი ჰაინც გოფმანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო არმიის საქმეთა მინისტრი და სახალხო არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ჟ. ლხაგვასურენი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი იონ იონიცე, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ბოგუმილ ლომსკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი კიმ ჩან ბონი, უნგრეთის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, უნგრეთის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჩიმი კარია, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე, დივიზიის გენერალი ვოიცეხ იარუზელსკი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე, იუგოსლავიის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი მილოშ შუმონოვა.

რადგითი ისმის ბრძანება:

— სწორდ! სმენ!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი უპატაკებს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს ა. ა. გრეჩკოს. მინისტრმა ჩამოუარა ჯარებს, მიესალმა მეომრებს, მიულოცა წვრთნის წარმატებით დამთავრება. პასუხად ისმის ერთსულოვანი ჯარისკაცული „ვაშა!“.

ჯარების ჩამოვლის შემდეგ მინისტრი ტრიბუნაზე ავიდა და სიტყვა წარმოთქვა. მან აღნიშნა, რომ წვრთნამ ცხადყო ჩვენი მეთაურთა და პოლიტმუშაკთა კადრებისა და შტაბების მაღალი ოსტატობა, ჯარების კარგი საველე გაწვრთნილობა, ჯარისკაცთა, სერჟანტთა, ოფიცერთა და გენერალთა მტკიცე მორალურ-საბრძოლო თვისებები, მათი მზადყოფნა შეასრულონ ურთულესი და პასუხსაგები საბრძოლო ამოცანები. ლაშქრობებსა და ბრძოლებში ჯარების პირადმა შემადგენლობამ გამოიჩინა უაღრესი ამტანობა, კეთილსინდისიერად, დიდი სურვილით ასრულებდა ამოცანებს. შესანიშნავად მოქმედებენ თვითმფრინავები, ტანკები, არტილერია, ვერტმფრინავები, კავშირგაბმულობის საშუალებანი და ყველა სხვა სახეობის საბრძოლო ტექნიკა.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ მადლობა გადაუხადა წვრთნის ყველა მონაწილეს.

— ნება მიბოძეთ, — თქვა მან, — შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სახელით პირობა მივცე კომუნისტურ პარტიას, ჩვენს საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს, რომ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები მზად არიან შეასრულონ საშობლოს ყოველი ბრძანება დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

კიევის გარნიზონის გაერთიანებული ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ჰიმნებს. ჭუს საარტილერიო სალუტი.

ფანფარები იუწყებიან, რომ იწყება ჯარების საზეიმო მარში.

პირველმა ტრიბუნას ჩაუარეს მოტომსროლელთა გვარდიული დივიზიის მძლავრმა ჯავშანტრანსპორტიორებმა გენერალ-მაიორ მ. მ. ზაიცევის სარდლობით. დიდი სამამულო ომის წლებში ამ შენაერთის გვარდიელებმა მარადიული დიდება მოიხვეჭეს. ისინი გმირულად იცავდნენ სტალინგრადს, ანადგურებდნენ მტერს კარპატებში.

დივიზიის ახალგაზრდა ჯარისკაცები და მეთაურები მამათა საბრძოლო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრენი და განმგრძნობნი არიან. წვრთნა „დნეპრის“ დროს გვარდიელები უტტევდნენ მთავარი მიმართულებით. სხვა გვარეობის ჯარებთან თანამოქმედებით სწრაფად გაარღვიეს „მოწინააღმდეგის“ ძლიერი თავდაცვა, შეუერთდნენ გადალახეს წყლის დაბრკოლებანი და ოსტატურად შეასრულეს მეომარი რიგი სხვა ამოცანები.

მოდიან სამხედეთო ჯარების სულ ახალ-ახალი შენაერთები და ნაწილები. ჯარისკაცები არ ჩანან, მათ ფარავს ფოლადის საიმედო ჯავშანი.

გამოჩნდა მანქანები საჰაერო-სადესანტო ჯარების ემბლემით. მათ განკარგულებაშია სრულყოფილი სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრინავები, ჯავშანტრანსპორტიორები, თვითმავალი ქვემეხები და სხვა მძიმე საბრძოლო ტექნიკა.

...კიეველი მშრომელები ტაშით ხვდებიან ჯარების ყოველ ახალ კოლონას. წვრთნის დროს მუშები და კოლმეურნეები, ახალგაზრდობა და უკანასკნელი ომის ვეტერანები მხურვალედ მიესალმებოდნენ მშობლიური არმიის მეომრებს. ეს იყო საბჭოთა არმიისა და გმირი ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დადასტურება.

მოდის სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის კოლონა. მსუბუქ ზარბაზნებს მოაყვებიან მსხვილი კალიბრის ქვემეხები, მერაკეტეთა ქვეგანაყოფები

მრისხანედ მოდიან ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფად და მძლავრად დაარტყან მოწინააღმდეგის ჯარებს, რა დიდი მანძილითაც უნდა იყვნენ მომორებული ფრონტის ხაზს. კოლონის ბოლოში მოდიან საზენიტო რაკეტები, რომლებიც წვრთნის დროს იცავდნენ ჯარებს „მოწინააღმდეგის“ ავიაციისაგან. ამ რაკეტებს შეუძლიათ საჰაერო სამიზნეებს მისწვდნენ როგორც უაღრესად მცირე, ისე დიდ სიმაღლეზე, დღეღამის დროისა თუ ამინდის მიუხედავად.

დათვალიერების დასასრულს გაიმართა ტანკისტთა მარში. მწყობრად ჩაიარეს საბრძოლო მანქანებმა, რომლებშიც შეხვედებულია ჯავშნისა და ცეცხლის ძლიერება. რამდენიმე დღის წინათ ჩვენ ვნახეთ ისინი, როცა საბრძოლო ამოცანებს ასრულებდნენ. არაფერს არ შეეძლო მათი შეჩერება: ისინი ვერ დაბარკოლა ვერც მდინარეებმა, ვერც ჭაობებმა და ვერც ქვიშნარმა.

ჯავშანტრანსპორტიორებს, ტანკებს, მედესანტეთა მანქანებს თავზე გადაუარეს სწრაფმა ავიაგამანადგურებლებმა, მზვერავმა თვითმფრინავებმა, ბომბდამშენებმა.

სამხედრო მფრინავებმა წვრთნის დროს ცხადყვეს ვირტუოზული პილოტაჟი, ბრძოლის ადგილებში ისინი საჭირო წუთს ჩნდებოდნენ და მათი შეტევა ელვისებური და უძლეველი იყო.

დათვალიერებაზე გამოვიდა წვრთნა „დნეპრის“ მონაწილე ყველა შენაერთისა და საბრძოლო ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილი. მაგრამ ისიც, რაც ნახეს ნენი ი ი, დამაჯერებლად ცხადყოფს ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერებას, მათს მუდმივ მზადყოფნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. ეს წვრთნა ჩვენი არმიის საბრძოლო ანგარიშია სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხისადმი სოციალისტური სამშობლოს სახელოვანი 50 წლისთავის წინ.

ჯარების დათვალიერების შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა: საბჭოთა კავშირის მარშალმა ა ა. გრეჩკომ წვრთნის მონაწილეებს გაუმართა სადილი, რომელზეც იყენენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი. ნ. ვ. პოდგორნი, პ. ე. შელესტი, დ. თ უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, უკრაინისა და ბელორუსიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვ

ფრანგ კომუნისტთა დიდი წარმატება

პარიზი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). „დამარცხდა გაფფორებული ანტიკომუნისტური კამპანია, რომელიც საკანონო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გაჩაღეს დე გოლის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და სხვა რეაქციონერებმა“, — განუცხადა დღეს პრესის წარმომადგენლებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ, რომელმაც განმარტა საფრანგეთში საკანონო არჩევნების შედეგები.

ვალდეკ როშემ აღნიშნა, რომ „არჩევნების მეორე ტურმა საეჭვოთ დაადასტურა პირველი ტურის შედეგები, ესე იგი ის, რომ მემარცხენე პარტიების საერთო წინსვლის პირობებში მნიშვნელოვნად წაიწია წინ კომუნისტურმა პარტიამ, და განაცხადა, რომ ამომრჩევლებმა, რომლებმაც ხმა მისცეს მემარცხენე პარტიათა წარმომადგენლებს, მეორე ტურში ხმა მისცეს კომუნისტ კანდიდატებს, იქ, სადაც ეს კანდიდატურები დაასახელეს მთელი მემარცხენე ძალების სახელით.

პირველი ტურის შედეგად კომუნისტური პარტია „გამოვიდა პირველ ადგილზე ყველა პარტიას შორის მიცემული ხმების რაოდენობით და მეორე ტურში მოიპოვა ბევრი ახალი ადგილი“ დეპარტამენტთა გენერალური საბჭოების შემადგენლობაში.

ახლანდელი არჩევნების ძირითადი გაკვეთილი — ეს არის უწინარეს ყოვლისა „დე გოლის რეჟიმის ახალი უკანდახევა და კომუნისტური პარტიისა და სხვა მემარცხენე პარტიების ახალი წინსვლა“, თქვა ვალდეკ როშემ.

ამრიგად, „მემარცხენე ძალების კავშირი, რომლის შექმნისათვის კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ იბრძოდა, გვეელინება ერთადერთ ძალად, რომელსაც შეუძლია ხვალ პირადი ხელისუფლების რეჟიმი შეცვალოს დემოკრატიული კავშირის მთავრობით, რომელსაც მტკიცედ ექნება გადაწყვეტილი განახორციელოს სოციალური პროგრესისა და მშვიდობის პოლიტიკა“.

საერთაშორისო სხლოვნება

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ ხუთი ტონა ბრინჯი — ასეთია ბევრი კოოპერატივის ვალდებულება. ვიეტნამის ბრინჯის უანებში ასეთი მოსავლის აღებას პირველად აპირებენ. სურათზე: ხოან ხონგის კოოპერატივის წევრები ბრინჯის უანაში.

ფოტო ლ. პორტერისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ი. აბლამოვი და ე. ეგოროვი გვატყობინებენ:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიის ტრიბუნიდან აკრიტიკებენ კაპიტალისტური სამყაროს მრეწველობით ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც მტაცებლურად უწევენ ექსპლოატაციას განვითარებადი ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს. ეს, კერძოდ, აღნიშნა **სალვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარტინეს მორენომ,** რომელიც 30 სექტემბერს პირველი გამოვიდა ზოგად დისკუსიაში გენერალური ასამბლეის საღამოს პლენარულ სხდომაზე.

მრეწველობით განვითარებული ქვეყნები გვიპოპენენ არსებობის მინიმალურ პირობებს, განაცხადა მან, და გვიქმნიან უდიდეს ეკონომიურ და სოციალურ პრობლემებს.

მარტინეს მორენომ ილაპარაკა განვითარებად ქვეყნებთან სამრეწველო საწარმოფოთა ეკონომიური ურთიერთობების ბოროტ ბუნებაზე, ფასებზე, ბარიერებსა და ზეგავლენაზე ეკონომიკაში, ...

ნიუ-იორკი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ი. აბლამოვი და ე. ეგოროვი გვატყობინებენ:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიის ტრიბუნიდან აკრიტიკებენ კაპიტალისტური სამყაროს მრეწველობით ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც მტაცებლურად უწევენ ექსპლოატაციას განვითარებადი ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს. ეს, კერძოდ, აღნიშნა **სალვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარტინეს მორენომ,** რომელიც 30 სექტემბერს პირველი გამოვიდა ზოგად დისკუსიაში გენერალური ასამბლეის საღამოს პლენარულ სხდომაზე.

მრეწველობით განვითარებული ქვეყნები გვიპოპენენ არსებობის მინიმალურ პირობებს, განაცხადა მან, და გვიქმნიან უდიდეს ეკონომიურ და სოციალურ პრობლემებს.

მარტინეს მორენომ ილაპარაკა განვითარებად ქვეყნებთან სამრეწველო საწარმოფოთა ეკონომიური ურთიერთობების ... ...

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაცხადა, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა წარადგინა წინადადება შეტანილ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში დამატებითი პუნქტი:

„როგორ ასრულებენ დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ სპეციალიზებული ორგანოები და საერთაშორისო ინსტიტუტი, რომლებიც დაკავშირებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან“. (საკდესი).

ბელგრადი, 30 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ლ. მარკოვიჩი იტყობინება: აქ მუშაობა დაამთავრა XVIII საერთაშორისო ასტრონომიულმა კონგრესმა. სექციათა ხელმძღვანელებმა მიმოიხილეს გაწეული მუშაობა. შემდეგ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადეს ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს არჩევნების შედეგები. პრეზიდენტად კვლავ არჩეულია ცნობილი იტალიელი მეცნიერი ლუიჯი ნაპოლიტანო. ვიცე-პრეზიდენტთა შორის არის საბჭოთა მეცნიერი აკადემიკოსი ლ. ი. სედოვი.

გადაწყვეტილია შემდეგი ასტრონავტიკული კონგრესი მოეწყოს გაისად ნიუიორკში.

ასტრონავტიკელთა კონგრესმა მუშაობა დაამთავრა

ვაშინგტონი. ამერიკის მშვიდობის მომხრეებმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ 21 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში მოაწყონ ვიეტნამის ომის წინააღმდეგ საპროტესტო მასობრივი სახალხო დემონსტრაცია. ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის ეროვნული მობილიზაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დეივ დელინგერმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ მთელი ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციისა და ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთაც დანაშაულად მიაჩნიათ შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამში საომარი მოქმედების განგრძობა.

მკაცრად გმობენ ვიეტნამის ომს

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ორგანიზაცია „ქალები, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“ ხელმძღვანელი დაგმარ უილსონი, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკელი დედები 21 ოქტომბერს გაილაშქრებენ არა მარტო იმის წინააღმდეგ, რომ მათ შვილს გზავნიან საზარბაზნე ხორცად ვიეტნამში, არამედ აგრეთვე იბრძოლებენ ვიეტნამელი ბავშვების დასაცავად, რომლებიც ამერიკის აგრესიის უდანაშაულო მსხვერპლნი არიან.

ყველა ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეებს აერთიანებთ მხოლოდ ერთი მიზანი — მკაცრად დაგმონ ვიეტნამის ომი.

დელი. სანამ აგრესორები უარს არ იტყვიან დანაშაულებრივ ომზე ვიეტნამში, ყველა თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ხალხის ერთადერთი სწორი გზაა შეკავშირდნენ, რათა მხარი დაუჭირონ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, — წერს ყოველკვირეული „ნიუ ეიჯი“.

„საბჭოთა კავშირის პოზიცია, — განაგრძობს ყოველკვირეული, — ეს არის საბრძოლო სოლიდარობისა და მხარდაჭერის სწორედ ეს ... ...

ეთიოპიის დედაქალაქის მოსახლეობა

ადის-აბება. იმ აღწერის მონაცემებით, რომელიც სექტემბრის დასლევს მოსახდინა ეთიოპიის დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა, ადის-აბებაში ცხოვრობს 637.831 კაცი. 1962 წელს, როცა უკანასკნელი აღწერა მოხდა, ეთიოპიის დედაქალაქში ცხოვრობდა 442.000 კაცი. (საკდესი).

ბელგიელ ...

...

ირანელი სტუმრები თბილისში

საბჭოთა კავშირში მყოფი ირანის საზოგადო მოღვაწე, ირანის დედოფლის დედა ქალბატონი ფარიდე დიბა 2 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა. მასთან ერთად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ საქველმოქმედო ორგანიზაციის „ფეჰლევის ფონდის“ მრჩეველი შრომის საკითხებში, ირანელ ქალთა ორგანიზაციის წევრი ქალბატონი ნარდინ ამირთაჰმასები, „ფარაჰ ფეჰლევის“ საავადმყოფოს ექიმი — პედიატრი, ირანელ ქალთა ორგანიზაციის წევრი ქალბატონი ღუსა პირნია, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი, ირანელ ქალთა ორგანიზაციის წევრი ქალბატონი ირან ა' ლამი, საქველმოქმედო ორგანიზაციას „ფარაჰ ფეჰლევის“ სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარე, ირანელ ქალთა ორგანიზაციის წევრი ქალბატონი მაპინ ჰაშემინეჟანი, აგრეთვე სსრ კავშირში ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მეუღლე ქალბატონი პ. მირფენდერესკი და სსრ კავშირში ირანის საელჩოს ატაშეს მეუღლე ქალბატონი პ. მანავი, რომლებიც ახლავან ქალბატონ ფარიდე დიბას.

ქალბატონ ფარიდე დიბასთან ერთად თბილისში ჩამოვიდნენ ირანთან კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ე. ალიევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომლები ლ. ნიკიფოროვა და ვ. ვორობიოვი.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. სალუქვაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ირანთან კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე შ. ამირანაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. ტატიშვილი და სხვა ოფიციალური პირნი.

მოკლე ხნის დასვენების შემდეგ ქალბატონმა ფარიდე დიბამ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა მისი თავმჯდომარის დეპუტატ **ს. რიგვავას** მოხსენება სიღნაღის რაიონის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სიღნაღის რაიონის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზულ მუშაობას ეწევიან ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების საქმეში. კულტურის სახლებში, კლუბებში და ბიბლიოთეკებში სისტემატურად ეწყობა დიდი თარიღისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხნის საღამოები და სხვ.

სხდომაზე აღინიშნა ზოგიერთი ნაკლოვანებანიც კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საქმეში. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ბოდბისხევის, მაღაროს, ულიანოვკის სასოფლო კლუბები, მათ არ ყავთ შემოკრებილი ძმტივი, იშვიათად ეწყობა ლექციები და მოხსენებები. ნაკლოვანებებია ზოგიერთი სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობაში, რომლებიც ვერ ასრულებენ მკითხველთა მომსახურებისა და წიგნის გაცემის გეგმას. მათ საქმიანობაში არ არის გამოყენებული საბიბლიოთეკო მომსახურების ატრაქციული ფორმები და მეთოდები.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრმა ნაკლოვანებებია ჩაის მაგნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

სათანადო ფარფლების უქონლობის გამო ჩაის საკრეფი მანქანები და სხვა ტექნიკა ზოგიერთ კოლმეურნეობაში ღია ცის ქვეშაა.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: კომისიის წევრმა დეპუტატებმა: **მ. ორაგველიძემ, შ. მახაძემ, ი. კავლაძემ, შ. ვერულაშვილმა, გ. კავთიაშვილმა, პ. გუნიამ,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დეპუტატებმა: **გ. ყიფიანმა, ნ. მგელიაშვილმა, ა. მექვაბიშვილმა, რ. ლადიძემ,** საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსმა **ა. კალანდარიშვილმა,** სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. მაზიაშვილმა,** სიღნაღის რაიონის აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ **ი. სიმონიშვილმა** და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ **მ. სიბაშვილის** მოხსენება გეგეჭკორის, ოჩამჩირის, ჩოხატაურისა და წულუკიძის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ შემოწმებული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებებია განხორციელებული ჩაის წარმოების გადიდების უზრუნველსაყოფად. გაშენდა ბევრი ახალი პლანტაცია. ამასთან დიდი ყურადღება ექცევა არსებული პლანტაციების მოვლა-დამუშავებას. ჩაის პლანტაციების გასხვლის, გაპოხიერების, გათოხნისა და სხვა სამუშაოთა შესრულების დროს ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაცია. ამ რაიონებში ყოველწლიურად იზრდება ჩაის პლანტაციების ფართობი და საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, რის შედეგადაც საკრძნობი გადაჭარბებით სრულდება ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები და ვალდებულებანი.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მიუხედავად დიდი მიღწევებისა, ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების საქმეში შემოწმებული რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. ახალი ჩაის პლანტაციების ნაწილი სათანადოდ არ არის დაცული.

რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ იდგილი აქვს ჩაის მეჩხერიანობას. არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი ჩაის მექანიზირებული კრეფა.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროსმა **პ. ჯორბენაძემ,** წულუკიძის რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. ხალინაძემ** და სხვებმა.

კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.**

თამგაკეთილ შეტანების გეგმის შესრულება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1967 წლის 1 ოქტომბრისათვის

(ათასი ზონარმეტრი)

	გეგმა	ფაქტიურად შესრულდა	გეგმის შესრულების პროცენტი
ლაგოდეხის	29.690	25.396	85,5
მარნეულის	37.500	35.008	93,3
გოლნისის	5.100	7.081	138,8
აფხაზეთის ასსრ	85.000	60.107	70,7
აჭარის ასსრ	22.000	22.751	103,4
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	179.290	150.338	83,9
იყო 1966 წლის 1 ოქტომბრისათვის	190.620	95.708	50,2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ინდოეთი

...

...

...

...

...

...

ოქტომბრის მზის ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ცვდებგა სამხრეთ ოსეთი დიად იუბილეს

საბჭოების სახლი ქ. ცხინვალში. ფოტო ვ. უბოყენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

განახლებული ოსეთი

გ. ჯუსოევი,

საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

◆

სამხრეთ ოსეთმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის ჩვენი მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი დაიმსახურა. სიხარულის, ზეიმის შესანიშნავი დღეებია სამხრეთ ოსეთის ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში. ზეიმობს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური მხარე, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ ოდესღაც ჩამორჩენილი და გაპარტახებული კუთხის აყვავებასა და განვითარებაში.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები გულითად მადლობას უძღვნიან ჩვენს პარტიას, საბჭოთა მთავრობას შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის. ამ ჯილდოს პასუხად ოლქის რაიონებში ყველგან გაიგონებთ: ვიშრომებთ უფრო ბეჯითად, თავდადებით, რათა გავამართლოთ დიდი ნდობა, შემდგომ გავაძლიეროთ მშობლიური ოლქის მეურნეობა, კულტურა, უფრო საამური და ბედნიერი გავხადოთ მშრომელთა ცხოვრება.

ახლოვდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. განვლილი პერიოდი სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ეკონომიური და კულტურული აღორძინების, მისი გაფურჩქვნის ბრწყინვალე პერიოდია. გადახედავ ისტორიის ფურცლებს და თვალწინ იშლება რევოლუციამდელი ოსეთის მშრომელთა თავისუფლებისათვის, ბრძოლის გმირული სურათები. ბევრი შესანიშნავი ზებრძოლი რევოლუციონერი ჰყავდა სამხრეთ ოსეთს. მათ რუსი და ქართველი ხალხების წარმომადგენლების ძმური დახმარებით არაერთი სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთ მონობისაგან ხალხის განთავისუფლებისათვის.

ამ საზეიმო ვითარებაში, როცა სამხრეთ ოსეთმა ლენინის ორდენი დაიმსახურა, არ შეიძლება არ მოვიგონოთ ოსი ხალხის საყვარელი შვილები — ლადი სანაკოევი, სერგი გაგლოევი, ალექსანდრე ჯატიევი, აროონ ფილიევი, ალექსანდრე აბაევი, რომლებიც ხალხის ბედნიერებისათვის, მშობლიური კუთხის აყვავებისათვის ბრძოლასა და შრომაში ჩაიფერფლნენ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წლის აპრილში შეიქმნა. ეს ბრწყინვალე აქტი იყო სამხრეთ ოსეთის მშრომელთათვის.

დიდი ძვრები მოსდა რევოლუციის შემდეგ სამხრეთ ოსეთში. ისტორიამ ვერ დაგვიახელა რევოლუციამდელი ოსეთის ვერც ერთი ნამდვილი საწარმო. მრეწველობა აქ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში შეიქმნა. განსაკუთრებით სწრაფად წავიდა მრეწველობის განვითარება დიდი სამამულო ომის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში იწყებენ მუშაობას ელექტროტექნიკური, კვების, სამთო, ქიმიური, ხისდამუშავებელი მრეწველობის საწარმოები.

კვკასიონის მთების სიღრმეში ადამიანები მიწის წიაღიდან ძვირფას მადანს — ტყვიასა და თუთიას იღებენ. მათთვის აქ გაშენდა მუშათა კეთილმოწყობილი დაბა ხალხის კულტურული დასვენების, შვილდობაინი შრომის ყველა საჭირო ობიექტებით. კვაისილები უნარიანად შრომობენ, გეგმებს გადამეტებით ანადღებენ და ამით თავიანთი წვლილი შეიტვთ ოლქის საერთო წარმატებაში.

ოლქის სიამაყეს წარმოადგენენ „ემალსადენისა“ და „ვიბრომანქანების“ ქარხნები, ისინი სულ ათიოდე წელია, რაც პროდუქციას იძლევიან, მაგრამ უკვე საკმაოდ მოიხვეჭეს სახელი. ცხინვალის ელექტროვიბრაციულმა მანქანებმა და სხვა პროდუქციამ უკვე კარგახანია გზა გაიკვლია უცხოეთის ქვეყნებისაკენ და მადალი შეფასებაც მიიღო. ოლქის მრეწველობა სისტემატურად ასრულებს საწარმოო პროგრამას ყველა ძირითად სახეში. ფაბრიკებისა და ქარხნების, მშენებლობების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, კვალიფიციური მუშათა კადრები ძირითადად ჩვენი ოლქის მკვიდრი მცხოვრებნი არიან, მათ განათლება მიიღეს ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და სამუშაოდ დაბრუნდნენ მშობლიურ ოლქში. ეს არის საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვარი.

საგულისხმო წარმატებებია მოპოვებული მშენებლობის დარგშიც. ცხინვალში განუწყვეტლივ მწყობრში დგება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საწარმოო ობიექტები, კულტურის კერები.

მომავლის პერსპექტივები კიდევ უფრო სასახარულოა. ამჟამად ცხინვალში მთავრდება და დიადი დღესასწაულის დღეებში მწყობრში ჩადგება ავტობუსების სარემონტო ქარხანა, შემდგომში კი აშენდება ტრიკოტაჟის საქსოვი ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

ის აღარ არის, რაც იყო ძველად სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობა. წვრილი, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობანი მსხვილმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო მეურნეობებმა შეცვალეს. სად ნახავთ კავებს, ხის გუთნებს, ხის ფარცხებს. მექანიზმებმა ისინი მინდვრებიდან განდევნეს. ბევრს ახსოვს პირველი ტრაქტორის გამოჩენა 1928 წელს. ეს რაღაც არაჩვეულებრივი მოვლენა იყო, ხალხს საოცრება ეგონა. ახლა კი ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ასობით ტრაქტორი, კომბაინი მუშაობს. სოფლის მეურნეობაში მუშაობენ მარცვალ-საწმენდები, სათესები, კულტივატორები, სათიბი მანქანები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

ოსეთში სოფლის მეურნეობის ძირითად დარგად კვლავ მეცხოველეობა ითვლება. ამას განაპირობებს ალპური და სუბალპური საძოვრები და სათიბები, ამიტომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის საკითხზე. სერიოზული ყურადღება დაეთმო აგრეთვე საკვები ბაზის განმტკიცებას, პირუტყვის სადგომების მშენებლობას, მეწველი პირუტყვის მომრავლებას. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად იმატა წველადობამ, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ. ჯავისა და ლენინგორის რაიონებში გავრცელება ჰპოვა წვრილფეხა პირუტყვმა, კერძოდ, მეცხვარეობამ, ლენინგორელ მეცხვარეებს რესპუბლიკაში იცნობენ, როგორც საუკეთესოებს. ეს დარგი შეიყვარა ბევრმა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ, რომლებსაც ხშირად შეხვდებით ხავერდოვან საზაფხულო საძოვრებზე თუ კასპიისპირეთის ტრამალებზე. მეცხვარეობა მთის კოლმეურნეობების საკმაოდ შემოსავლიანი დარგია.

მაგრამ არანაკლებ შემოსავლიანი დარგია მებაღეობა და მევენახეობა. პატარა და დიდი ლიახვის, აგრეთვე ფრონის, მეჯუდის ხეობებში საუკეთესო ხარისხის ვაშლი მოდის. ბაღების გაშენებას დიდი ყურადღება მიექცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობიც. ჩვენს ვენახებში კარგად ხარობს შამპანური ყურძნის ჯიშები — ჩინური, ალიგოტე, გორული მწვანე და სხვ. გათვალისწინებულია უახლოეს წლებში საგრძნობლად გადიდდეს ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობები.

დაბალი ზონის კოლმეურნეობებში საკმაო ადგილი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, კერძოდ, შემოდგომის ხორბლისა და სიმინდს. გვაქვს შაქრის ჭარხალიც, რომლის მოვლა-მოყვანაში ბევრმა კოლმეურნემ ისახელა თავი.

ახალი საკოლმეურნეო ცხოვრების ბაზაზე სოფლად ახალი ადამიანები აღიზარდნენ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ემსახურება ასობით აგრონომი, აგრონომიკი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი. მათ გვერდით შრომობენ რიგითი კოლმეურნეები, საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორები. შრომისმოყვარეობით, ორგანიზატორული ნიჭით თავი ისახელეს ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. დრიაევმა, წინაგრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ძუგაევმა, ზნაურის რაიონის სოფელ თიღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. ოდიკაძემ, სოფელ ავნევისა და ზნაურის კოლმეურნეობათა მეთაურებმა რ. სიქთურაშვილმა და მ. გათიკოევმა, ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. ქრისტესიაშვილმა.

მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის მოსავლიანობა სისტემატურად იზრდება ახალი მიწების გასარწყავებასთან დაკავშირებით.

საერთოდ, კოლექტიურმა შრომამ დიდად აამაღლა მიწათმოქმედების კულტურა, ამან ცხადია, ხელი შეუწყო სოფლის კულტურული დონის ამაღლებას.

სამხრეთ ოსეთის დღევანდელი სოფელი ძირფესვიანად განსხვავდება იმ სოფლებისაგან, რომლებიც სამი-ოთხი ათეული წლის წინათ იყო. ახლა იშვიათია მთის პატარა აულიც კი, სადაც ელექტროსინათლე არ იყოს. კოლმეურნეთა ოჯახებში ხმაურობენ რადიომიმღებები, ტელევიზორები, ტელეფონის აპარატები. ნაყოფიერ შრომას ეწევიან სოფლის კულტურის კერები — ბიბლიოთეკები, სასოფლო კლუბები, კულტურის სახლები.

დიდი და სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციუზრუნველყოფის საქმეში. ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურებიან მასობრივი და სპეციალური საშუალო სასწავლებლები, საღამოს სკოლები, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. სასარგებლო მუშაობას ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელმაც ბოლო ხანებში საგულისხმო შრომები გამოსცა მშობლიური მხარის ეკონომიკის, ეთნოგრაფიისა და კულტურის ზოგიერთ საკითხზე.

ოს ხალხს თვალსაჩინო მიღწევები აქვს მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების დარგში. ადრე ოსურ ლიტერატურას პყავდა თავისი ბრწყინვალე წარმომადგენლები, კერძოდ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ოსური ენისა და ლიტერატურის განვითარებას კოსტა ხეთაგუროვმა. მაგრამ ოსურმა ეროვნულმა კულტურამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია დიდ განვითარებას. ომის დროს მთელ საბჭოთა მწერლებთან ერთად ოსი მწერლები თოფით თუ კალმით გმირულად იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ოსმა მწერლებმა გაფეზმა, გიორგი ძუგაევმა, ნიკო ჯუსოითმ, რევაზ ასავემა ბევრი ნაწარმოები შექმნეს ომის თემაზე. ისინი ახლაც ფართო შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან. გამოჩნდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლებიც. მკითხველს უყვარს ახალგაზრდა მწერლების გ. ბესთაუთის, ალექსანდრე ბუკულთის, ხაჯიმურად ძუკაოთის ნაწარმოებები. ბევრი ოსი მწერალი დაუღალავად შრომობს რუსული, ქართული და სხვა ერების ლიტერატურული მემკვიდრეობის თარგმნაზე. ოს მკითხველს ახლა საშუალება აქვს მშობლიურ ენაზე წაიკითხოს პუშკინისა და რუსთაველის, ლერმონტოვისა და ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა კლასიკოსთა უკვდავი ქმნილებანი. თავის მხრივ ოსური ლიტერატურა ითარგმნება მოძმე ერების ენებზე.

მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად წინ მიდის ხელოვნება, თეატრი. ჯერ კიდევ 1931 წელს შეიქმნა ოსური პროფესიული თეატრი, ხოლო მას 1939 წელს გვერდში ამოუდგა ქართული თეატრიც. ჩვენ გვყავს სცენის საუკეთესო ოსტატები: საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ს. ჯატიევა, ზ. გაგლოევა, ნ. ჩიბიევა, დ. მამიევი, ი. ცხვირაშვილი, ი. შერაზადიშვილი და სხვები. დრამატული თეატრის კოლექტივებმა არაერთი შესანიშნავი დადგმა განახორციელეს.

დამსახურებული აღიარება ჰპოვა სამხრეთ ოსეთის სიმღერასა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „სოდმა“. ფართო შემოქმედებითს შრომას ეწევიან ოსი კომპოზიტორები ბ. გალაევი, დ. ხახანოვი, ხ. ფილიევი, ვ. ფილიევი, ი. გაბარაევი, თ. ქოქოითი, ფ. ალბოროვი და სხვები. ოს მხატვრებსაც აქვთ თავიანთი სიხარული, ისინი ახალი ტილოებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს სამხრეთ ოსეთის მშრომელები ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობის ვითარებაში ეგებებიან.

ახლა შემოდგომის ლაღი დღეებია ოსეთში, კოლმეურნეები კრეფენ ხილს, აგროვებენ პირუტყვის საკვებს, იღებენ ბოსტნეულს, მალე დაიწყება შაქრის ჭარხლისა და სიმინდის მოსავლის აღება, რთველი. საწარმოთა მუშები წინასაიუბილეო შრომითს ვახტზე დგანან.

ოლქის მშრომელები მადლობას უხდიან პარტიას, საბჭოთა მთავრობას მთი შრომის დიდი და მაღალი შეფასებისათვის. ისინი პირობას დებენ, რომ ერთიორად გააძლიერებენ შრომას საზოგადოებრივი წარმოების ყველა უბანზე, რათა პირნათლად, ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიად თარიღს — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

გიორგი ბესთაუთი

ეე ლეგ ბაზაკფსუნლი თბილისში

გაზაფხულმა პაწაწინა,
თეთრი ბროლის ხელებით
შემომიღო ფანჯარა და
შემობრძანდა მეფურად,
თვითონ მთვრალმა მეც დამამთრო
ნუშის ტკბილსურნელებით
და მეც მისებრ ნეიტონის
მწვანე ნისლი მეზურა...

და გავედით ოთახიდან,
ქუჩა-ქუჩა, ბაღი-ბაღ,
გორა-გორა ბორიალით
მოვიარეთ თბილისი.
ცელქმა სიომ გამახსენა
ჩემი ტკბილი ბალღობა,
დედაქალაქს მივეჯაჭვე
სიყვარულის თილისმით.

გაზაფხულმა დამახურა
თავს გვირგვინი გვირილის
და ვეწვიეთ მტკვარს კისკისით, —
ჩაკიდულნი ხელი-ხელ,
წყალს მოჰქონდა — ადიდებულს —
ხარ-ირმების ყვირილი;
მოხიბლულნი სანაპიროს
ვერ მოვცილდით მთელი დღე.

მოდიოდა გრილი ტალღა
და მესმოდა ჩონგურის,
და მესმოდა სალამურის
დამდაგველი ქვითინი...
ზოგი ტალღა მოდიოდა,
ვით ქართველი ლომგული,
ზოგი — ჩემი წინაპარი
შუბოსანი სკვითივით...

მზე — წითელი ბროწეული —
მტკვარს ზედ თავზე ეკიდა,
და გარშემო ლიფლივებდა —
ოქროდ ჩამოღვენთილი
და თბილისი გაზაფხულით,
სიმღერით და ცეკვითა
ასე ჩამრჩა მე ხსოვნაში —
ლამაზი და კეთილი.

ᲫᲠᲝᲗᲘᲗ ᲛᲝᲙᲝᲗᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ

დიდი, ფართო საამქროს აღმოსავლეთი კედელი მთლიანად ფანჯრებს დაუკავებია: მზე უხვად იღვრება დაზგებზე, იატაკზე და წითელ, წვრილ მავთულს ოქროსფრად ალაპლაპებს. ზრიალებენ დაზგები, მსხვილ კოჭებზე სწრაფად იხვევა წვრილზე უწვრილესი სადენი, დაზგებთან კი არავინ ჩანს...

არა, ეს მე ვერ შევამჩნიე, სულ ბოლოში დაზგასთან დახრილა ფთრხალათა ქალი. გაწყვეტილი მავთული გადაბა და წელში გასწორდა. ეტყობოდა, თავის საქმეში კარგად დაოსტატებული, სხარტი და მოქნილი იყო. ახლა ამ დაზგასთან რომ იყო, მეორე წამს მეორეს დახედავდა, მერე მესამეს... ვიდექი, თვალს ვადევნებდი. ის გრძნობდა, რომ მასთან საქმე მქონდა და ხშირად გამომხედავდა თაფლისფერი ღიმილიანი თვალებით. შესვენების საათი დაიწყო, დაზგები გაჩერდნენ, ადამიანები სასაუზმედ გაეშურნენ.

იქვე დავრჩით. მე და ნაზირამ ცოტა ხანს ვისაუბრეთ. მისი ბიოგრაფია, ვინ იცის, რამდენ გაზეთში წამიკითხავს და ყველაფერი დაწერილებთან ვიცოდი. მამით ობოლი იყო. ერთი ძმა ჰყავდა, როცა ნაზირას მამის სიცოცხლე მტრის მიწაზე ჩაქრა. ამ ქვეყანას მაშინ მოვლინა ახალი სიცოცხლე გოგონას სახით. დაიწყო ჯარისკაცის ქვრივის მოუხვენარი და ძნელი ცხოვრება... მერე ომი დამთავრდა, ბავშვები წამოიჩიტნენ და თითქოს თანდათან კალაპოტში ჩადგა ცხოვრება. მაგრამ უჭირდა ოჯახს უქმროდ, უმამოდ...

ომიდან ბევრ თანასოფელელ გოგო-ბიჭს დაუბრუნდა ხეიბარი მამა. მხოლოდ მაშინ იკითხა ნაზირამ, — დედი, ჩვენ მამა რატომ არა გვყავს?

— დაიღუპა, შვილო, ომში დაიღუპა, — მოკლედ თქვა დედამ და გარეთ გავიდა.

ეს იყო და ეს. მეტი არაფერი უკითხავს გოგონას, გულში კი რაღაც ჩაწყდა, ეტკინა.

ნაზირამ ავნევის საშუალო სკოლა დაამთავრა, საწარმოო სტაჟის გასავლელად მოვიდა ახლად ფესადგმულ ქარხანა „ემალსადენში“. ცხოვრებამ თვითონ უჩვენა, საით წასულიყო, და ახალგაზრდა ქალიც გაბედულად დაადგა შრომის გზას. ჯერ მოწაფედ იყო ოსტატმა გულისხმიერ ქალაშვილს სულ მოკლე ხანში შეასწავლა რთული პროფესია — თმის სიმსხო სადენის ბომინანქრება.

შრომასა და მომავალზე ფიქრში გარბოდა დღეები. ენერგიულ, თავმდაბალ ქალაშვილს სამი დაზგა ჩაებარეს, და ყოველი დღის ბოლოს დაფაზე მისი გეგმის გასწვრივ გეგმის შესრულება 130-140 პროცენტით იყო აღნიშნული.

ამხანაგებმა, ხალხმა დაფასეს ქალაშვილის შრომითი თავდადება, ნაზირა სანაკოევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

დღეს ნაზირა საქვეყნოთ ცნობილი და დაფასებული ქალია, ბედნიერი ოჯახის დედაა.

გ. თედეევი.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

1921 წლის 5 თებერვალი. სამხრეთ ოსეთის აჯანყებულმა მშრომელებმა წითელი არმიის დახმარებით დაიკავეს დაბა ცხინვალი და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

„კავკაზსკაია კომუნა“, 1921 წ. 17 მარტი.

1921 წლის 13 მარტი. საქართველოს სსრ რევკომმა დაადგინა გამოიყოს 1 მილიარდი მანეთი და აგრეთვე საჭირო მასალა აჯანყების დროს მენშევიკთა ჯარების მიერ განადგურებული სოფლების აღსადგენად სამხრეთ ოსეთში.

„პრავდა გრუზიი“, 1921 წ. 15 მარტი.

1922 წლის 20 აპრილი. საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცეს დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ.

„კომუნისტი“, 1922 წ. 23 აპრილი.

1932 წლის 1 ოქტომბერი. ქ. ცხინვალში გაიხსნა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

„საბჭოთა ოსეთი“, 1932 წ. 2 თებერვალი.

1939 წლის 17 ნოემბერი. კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტს მიეკუთვნა კოსტა ხეთაგუროვის სახელი.

„კომუნისტი“, 1939 წ. 20 ნოემბერი.

1940 წლის 28 ივლისი. გაიხსნა გორი-ცხინვალის რკინიგზა. ცხინვალში ჩავიდა პირველი მატარებელი.

„კომუნისტი“, 1940 წ. 30 ივლისი.

1940 წლის 29 ივლისი. სოფელ წნელისში (ზნაურის რაიონი) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სამხრეთ ოსეთში პირველი საკავშირო მნიშვნელობის საწარმო — თალკის ქარხანა.

„კომუნისტი“, 1940 წ. 1 აგვისტო.

სოფლის დოვლათი

ვინ პატარა მდინარე ფრონე მშვიდად მიედინება, წყაროსავით დაწმენდილია. დუდუნით ჩამოუდის ზნაურის რაიონის პატარა სოფელ ზნაურ-კაუს, რომელიც ოსი ხალხის სახელოვანი შვილის, სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აქტიური მებრძოლის ზნაურ აიდაროვის სახელს ატარებს. მისივე სახელობისაა მთლიანად რაიონიც. რაიონის ცენტრში ამაყად აღმართულა სახელმოხვეჭილი რევოლუციონერის ძეგლი.

ბევრი სტუმარი ჰყავს სოფელს ამ დღეებში. მოდიან პიონერები, ახალგაზრდები, შრომის ვეტერანები, რომლებსაც სურთ პატივი სცენ რევოლუციონერის, ხსოვნას.

დიდი, ჭეშმარიტად გასაოცარი ცვლილებები მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ზნაურ-კაუში. მთლიანად იცვალა სახე ამ პატარა სოფელმა.

ზნაურ-კაუს კოლმეურნეობა პატარაა — სულ ორასამდე კომლს ითვლის. მაგრამ მრავალდარგოვანია მისი მეურნეობა, ხალისიანი, მჩქეფარეა ადამიანთა ცხოვრება. ვნახეთ მეურნეობის ცალკეული უბნები.

ჯერ მექანიზატორებს ვეწვიეთ. ვინახულეთ გიორგი კობალაძე, ალექსი მზარეულიშვილი, გიორგი ფილებაშვილი... მათ აუღიათ მარცვლეულის მოსავალი, გაულეწიათ, ბეღელში ჩაუტარიათ, მინდორი მზრალად მოუხნავთ, ახლა კი ნიადაგი მოუწორებიათ და შემოდგომის ხორბალს თესენ. კოლმეურნეობის მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეესრულებია.

კიდევ რამდენიმე დღე, და შემოდგომის ჯეჯილები ამწვანდება, ხოლო მექანიზატორები სიმინდის აღებას შეუდგებიან. სოფლის სხვა მშრომელებს კი სხვა სამუშაო აქვთ.

კოლმეურნეობის ხეხილის ბაღებს რომ მივუახლოვდით, ვაშლის არომატი ვიგრძენით, ხეებს შეეხედეთ, ქარვისფერ ნაყოფს ერთ მხარეს ვარდისფერი დაკრავდა.

— ეს ხილის საუკეთესო ჯიში გახლავთ, — ბანანს ვეძახით, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. გათიკოევმა.

ბანანების გვერდით ნაყოფით დახუნძლული ტოტები დაუხრიათ ვაშლის სხვა ჯიშებს. წითლად, ვარდისფრად, ქარვისფრად ხასხასებს მწიფე ნაყოფი ხეზე. მოვიდა, დამწიფდა ხილი. დადგა შემაღლის სიხარული, დაიწყო ვაშლის კრეფა.

სიხარულს ვერ მალავს ძველი მებაღე გიგო გობოზოვი. ის ხან ერთ ახალგაზრდას ასწავლის ვაშლის კრეფის წესებს, ხან მეორეს, ენახება, უფროსიდღება მოსავალს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კი ბაღის მოსავლიანობაზე გაგვიგია ლაპარაკი.

ბაღური მებაღეები ჰექტარზე საშუალოდ 70-80 ცენტნერ მაღალხარისხოვან ვაშლს ელოდებიან, გეგმა კი მხოლოდ 55 ცენტნერს ითვალისწინებს. ვაშლის კრეფაზე მუშაობენ კოლმეურნე ქალები, ახალგაზრდები.

ბენსებიის დიდი ფართობები ზნაურ-კაუში არასდროს არ ჭმნიათ. ამჟამად ვენახს სულ რაღაც 15 ჰექტარი ფართობი უჭირავს. წინათ აქ ვაზს სოფლის მკვიდრნი ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდნენ. მაგრამ უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ურჩიეს კოლმეურნეობის გამგეობას მტკიცედ მოეკიდა ხელი ამ მეტად სასარგებლო და შემოსავლიანი დარგისათვის.

ზნაურ-კაუში, ისე როგორც საერთოდ ქართლში, გავრცელებულია და კარგად ხარობს ვაზის სამამპანურე ჯიშები: გორული მწვანე, ჩინური, ალიგოტე.

კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა ითავეს ვენახის მოვლა. მათ რჩევასა და მითითებას აძლევდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მალე ვაზმა გამოცოცხლება იწყო. შემდეგ, როცა ნაკელისა და მინერალური სასუქის შეტანა გაძლიერდა, ვაზი ნაყოფით დაიტვირთა. დღეს ზნაურკაუელთა ვენახს კარგად ასხია. მომავალში, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბობს, ვენახს კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა.

სოფელი დიდი დღესასწაულის მოლოდინშია. ყველგან — საკოლმეურნეო კანტორის თუ კლუბის შენობაზე, ფერმებთან გამოკრულია ლოზუნგები, პლაკატები, რომლებიც სოფლის მშრომელებს მოუწოდებენ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიად დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეს.

სოფლის შარაგზებზე დაპრქრიან ჭირნახულით დატვირთული ავტომანქანები, კალათებით, ვედროებით ხელში მიმოდიან კოლმეურნეები. სოფელი საიუბილეო წლის მოსავალს იღებს.

კოლმეურნეობის კანტორის წინ, ფართო მოედანზე კოლმეურნე ქალები ფუსფუსებდნენ, მოზიდულ წითელ ლობიოს არჩევდნენ. წელს კოლმეურნეობა 30 ტონამდე ლობიოს მიიღებს. ეს მცირე მოსავალი როდია.

უხვად მოვიდა წელს ბოსტნეული. იგი აიღეს, დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარეს, მალე მეგბარხლეებიც შეუდგებიან ნაამგარის დაბინავებას.

არც მეცხოველეებმა შეირცხვინეს თავი. ფერმებმა წარმატებით შეასრულეს პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები, ასევე გადაჭარბებით ხრულდება წველადობის დავალებანი.

დღესასწაულის აღსანიშნავად გადაწყვეტილი გვაქვს, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. — ყველა ძირითადი სამუშაო 7 ნოემბრისათვის დავამთავროთ.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

* * *

სურათზე: ზნაურ აიდაროვის ძეგლი, რომელიც აღმართულია სოფელ ზნაურ-კაუს ცენტრში.

ფოტო ვ. უბოყენკოსი.

მაღლა გვეჭიროს ოქტომბრის დროშა!

დუხვირი იყო ცხოვრება ძველად. მახსოვს, ოჯახის შესანახავად გლეხები სამუშაოს საძებნად სამრეწველო ცენტრებს მიაშურებდნენ ხოლმე.

1916 წელს მეც წავედი ბაქოში, ნავთობის ქალაქში სამუშაოდ. პირველად ვნახე უბადრუკი კოშკურები. ერთხანს გაძნელდა შრომა, გამოცდილ ამხანაგებს ჩამოვრჩებოდი, შემდეგ სპეციალობა მივიღე, მაგრამ მუშის შრომა მაინც ოუტანელი იყო.

თებერვლის რევოლუციამ ბაქოში მომისწრო. მრწმე ვარ ბაქოს პროლეტარიატის დიდი მღელვარებისა. ზოგს არც კი სჯეროდა, რომ მეფის ტახტი დაემხო. გამოცდილი მუშები, პარტიის წევრები-მშრომელებს არწმენებდნენ, რომ თებერვლის რევოლუცია მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. მათი სიტყვები გამართლდა. რამდენი შესანიშნავი რევოლუციონერი, ხალხის ზრუნვაზე გათითრებული ადამიანი ვნახე ბაქოში. ისინი დიდად კეთილშობილი ადამიანები იყვნენ. სამწუხაროა, რომ ბევრი მათგანი ვერ მოესწრო ჩვენი დროის დიდ ზეიმს — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

ეს დღესასწაული ჩემთვის ორმაგია. გულით და სულით შევეხარი ამ ზეიმს, ჩაგრულთა მხსნელი რევოლუციის იუბილეს. ამას გარდა ეს დიადი თარიღი ჩემი პატრიაში ყოფნის თარიღს ემთხვევა. ოქტომბერში შესრულდება 50 წელი მას შემდეგ, რაც ჯიბით ვატარებ ჩვენი მშობლიური პარტიის ბილეთს.

ბაქოდან 1919 წელს დავბრუნდი. მას შემდეგ განუწყვეტლივ ემონაწილეობდი რევოლუციურ მოძრაობაში. საერთო-საზოგადოებრივი საქმის, ჩვენი პარტიის დავალების შესასრულებლად ემყოფებოდი ჩრდილოეთ ოსეთში, თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ცხინვალში, ჯავაში დავიკავშირდი ოს რევოლუციონერებს. მათთან ერთად ვიხვიმე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

დიდად ბედნიერი ვარ, რომ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ცხოვლისწყლობ. ამ სახეიმო დღეებში მსურს წარმატება და ბედნიერი ცხოვრება ვუსურვო ჩვენს ახალგაზრდობას.

ახალგაზრდებო! მაღლა გეჭიროთ მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშა, წინ და კვლავ წინ.

ივანე თიბილოვი,
სკკპ წევრი 1917 წლიდან.

ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲛᲘᲔᲫᲚᲕᲜᲐ

საოლქო გაზეთების ფურცლებზე

„დღეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებს დიდი ზეიმი აქვთ. ოლქის დროშაზე იკიაფებს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი!“ — ასეთი ვრცელი ანშლაგი აქვს წამძღვარებული „სოვეთონ ირისთონის“ გუშინდელ ნომერს. გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია მოწინავე სტატია „მაღალი ჯილდო“. მოწინავეთა ფოტოსურათებია და საინტერესო ინფორმაციებით არის წარმოდგენილი ლენინის ორდენოსანი ოლქის საიუბილეო ვახტი.

ყურადღებას იპყრობს ამ ნომრის მეორე და მესამე გვერდები, რომლებსაც ერთიანებს ანშლაგი: „მაღალი ჯილდო ახალი გამარჯვებისაკენ მოგვიწოდებს!“ ოლქის მშრომელთა მოპოვებულ წარმატებებზე, რისთვისაც თავიანთის მაღალი ჯილდო დიმესახურეს, მათს მომავალ გეგმებზე, უახლოეს პერსპექტივებზე, ომზე, თუ როგორ ავდებიან ისინი დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს, მკითხველებს მოუთხრობენ პარტიის ზნაურის რაიკომის პირველი მდივნის გ. თხელიძის სტატია „ოქტომბრის მზის ქვეშ“, კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივნის თ. კაბულოვის სტატია „ახალგაზრდობის წვლილი“, აგრეთვე ჯავის რაიონის მხსლების კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხ. სანაკოევის, პენსიონერ ა. გოგაძის და სხვების წერილები და კორესპონდენციები.

მიმზიდველი და შინაარსიანია ამ ნომრის მეოთხე გვერდიც.

დიდმა ოქტომბერმა სამხრ

ერთიან ოჯახში

1 ოქტომბერს მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა დიდი ოქტომბრის იუბილესადმი მიძღვნილი პირველი თეატრალიზებული ფესტივალი.

დილიდანვე ათასობით თბილისელი შეიკრიბა პარკში. რეპროდუქტორებიდან გაისმის სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები — ფესტივალი ხომ იმართება დევიზით „ერთიან ოჯახში". დღესასწაული დაიწყო თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის და თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლით. კარნავალში მონაწილეობდნენ საქართველოს დედაქალაქის პიონერები და მოსწავლეები.

დღესასწაულის მონაწილეებ[illegible] თბილი მისასალმებელი სიტყვა მიმართეს ძველმა ბოლშევიკებმა ვიქტორ კაჭარავამ და გიორგი მირიანაშვილმა.

საზაფხულო ესტრადაზე გამოვიდნენ ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშათა ჯგუფური კომიტეტის, თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სახლავლების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა კულტურის სახლთან არსებული ალმოსავლური ინსტრუმენტების ანსამბლები.

პარკის ესტრადებზე გამოვიდ[illegible]ნენ საქართველოს ფილარმონი[illegible] მსახიობები, რუსთაველის სახ[illegible]ლობის თეატრის არტისტები.

ხოლო რაც მთაწმინდაზე ბი[illegible]დი ჩამოწვა, ცა გაანათა ფეიერ[illegible]ვერკმა.

[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [